

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის
მიზნობრივი პროგრამა

2017 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

0-დან 70 000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის
ოჯახის წევრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით
ერთჯერადი მატერიალური დახმარება

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

“1 იანვარი“ 2017წ.
“31 დეკემბერი“ 2017წ.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 06 02 05

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

16200 (თექვსმეტიათასორასი) ლარი

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი - 16200 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს, ამ მიზნით ქვეყანაში ხორციელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაში მონაწილე პირებისათვის ყოველთვიურ ფულად დახმარებას და სამედიცინო მომსახურების პაკეტს. 0-დან 70 000 ლის მქონე ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა.

8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-დან 70 000 ლის მქონე ოჯახებისათვის ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა	პროგრამით მოსარგებლე ოჯახების რაოდენობა.

9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2017 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	ერთჯერადი დახმარების გაწევა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა და კატეგორია:

პროგრამით ისარგებლებს სოციალური სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 70000 სარეიტინგო ქულით დაფიქსირებული, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, რომელთაც 2017 წელს გარდაეცვალათ ოჯახის წევრი. პროგრამით დახმარება გაეწევა 54 ოჯახს.

11. პროგრამის მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამით ისარგებლებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 70000-მდე სარეიტინგო ქულით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახები. 2017 წლის განმავლობაში ოჯახის წევრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

12. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წეაროს დასახელება		2017 წელი	2018 წელი	2019წელი	სულ
	ძირითადი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	16200			16200
	დამატებითი					
	სულ		16200			16200

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთჯერადი დახმარების მოცულობა (ლარი)	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
1	0-დან 70 000 ქულის მქონე ოჯახებისათვის ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა	ოჯახი	54	300	16200
სულ ჯამი					16200

დამატებითი ინფორმაცია:

მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

დაფინანსება განხორციელდება ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

1. ოჯახის წევრის განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
3. გარდაცვალების მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
4. ოჯახის სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი ცნობა;
5. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.
6. მარტოხელა ბენეფიციარის გარდაცვალების შემთხვევაში – დამატებითი დოკუმენტაცია.

შენიშვნა: სხვადასხვა მიზეზით დაგვიანებით მომართვის შემთხვევაში 2016 წლის დეკემბერში გარდაცვალებასთან დაკავშირებით ოჯახზე ერთჯერადი დახმარება გაიცემა გარდაცვალების პერიოდში მოქმედი მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებული სარგოს ოდენობით.